კონფლიქტისპირა არეალში სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება

2010 წლის 15 იანვრიდან ქეამ დაიწყო 10-თვიანი პროექტის განხორციელება - `კონფლიქტისპირა არეალში სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საარსებო პირობების გაუმჯობესება. მიმდებარე რეგიონის 20 სოფელში მცხოვრები 280 ადამიანის ფერმერული მეურნეობა გაუმჯობესდება შემოსავლების გენერირების გზით.

პროექტით გათვალისწინებულია სამუშაო ადგილების შექმნა მცირე ბიზნესისა და ფერმერთა გაერთიანებების საშუალებით, რაც საშუალებას მისცემს ფერმერულ ოჯახებს გააფართოვონ საკუთარი წარმოება ახალი ტექნიკისა და ტენოლოგიების გამოყენების ხარჯზე.

პროექტი ითვალისწინებს ინდივიდუალური მეწარმეების პროფესიულ გადამზადებას და მათ ფინანსირებას მცირე ბიზნესის დასაწყებად. ასევე, ფერმერული გაერთიანებების კონსულტირებას და მათი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და მოწყობილობებით უზრუნველყოფას.

პროექტი ვრცელდება შიდა ქართლში, გორის რაიონის 20 სოფელში.

პროექტის უშუალო ბენეფიციარებს წარმოადგენს 80 ოჯახი, რომლებიც სარგებელს ნახავენ პროექტის შედეგად მიღებული 80 გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამუშაო ადგილის შექმნით. დამატებით 200 ოჯახს გაეწევა მომსახურეობა და მიეწოდება ინფორმაცია 10 ფერმერული გაერთიანების მხრიდან.

პროექტი ფარავს კონფლიქტისპირა ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის იმ ჯგუფებს, რომელთაც ყველაზე დიდი ზარალი განიცადეს 2008 წლის კრიზისის შედეგად.

მოსალოდნელი შედეგები:

- Aარა ნაკლებ 80 გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამუშაო ადგილის შექმნა კონფლიქტისპირა არეალის 20 სოფელში;

- დაახლოვებით 200 ფერმერს მიეცემა საშუალება გაზარდოს საკუთარი წარმოება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე.

პროექტის ფინანსირების არეალი მოიცავს შემდეგ სფეროებს: ვაჭრობა (მაღაზია), მომსახურეობის სფერო (მცხობელები, მექანიკოსები) და სოფლის მეურნეობა (სათბურები, საჩითილეები). გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1,200 აშშ დოლარს.

საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე ხდება 10 ფერმერული გაერთანების სპეციალური გადამზადება, შესაბამისად, შემდგომში ზემოთ აღნიშნული ჯგუფები თავის მხრივ ახდენენ მიღებული ინფორმაციის გავრცელებას მოსახლეობაში და უწევენ მათ კონსულტირებას, თუ როგორ გააუმჯობესონ საკუთარი წარმოება და გაზარდონ შემოსავლები.

აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ქეას პარტნიორობას უწევენ – ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC) და აგროტექნო. აგროტექნო მუშაობს ფერმერულ გაერთიანებებთან, ფერმერთა ასოციაციების შექმნისა და ბიზნეს გეგმების შედგენის საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო CTC გასცემს კონსულტაციებს ბიზნესისა და ფინანსური საკითხების ირგვლივ.

პროექტი დაფინანსებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მიერ. მისი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 312,000 აშშ დოლარს.

დონორი:

UNHCR
The UN Refugee Agency